



დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება #25

2015 წელი 3 აპრილი

ქ. დუშეთი

დუშეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, ქ. დუშეთში, რუსთაველის ქ. N27 მდებარე ადმინისტრაციული შენობის (ს/კ 71.51.01.015) სარდაფში განთავსებული 129 კვ.მ. ფართის ლია მელაძესთვის (პ/ნ 16001015474) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობაში, ქირავნობის ფორმით გადასაცემად დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი, მე-2 პუნქტების, ამავე კოდექსის 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის და ამავე მუხლის მე-2, მე-4 პუნქტების საფუძველზე, დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. მიეცეს თანხმობა დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელს, პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობაში, ქირავნობის ფორმით გადასცეს დუშეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება, ქ. დუშეთში, რუსთაველის ქ. N27-ში ადმინისტრაციული შენობის (ს/კ 71.51.01.015) სარდაფში განთავსებული 129 კვ.მ. ფართი ლია მელაძეს (პ/ნ 16001015474), ხოლო წელიწადში გადასახდელი ქირის ოდენობა განისაზღვროს 2200 (ორიათას ორასი) ლარით.
2. ეს განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ლაფანაშვილი